სს საზღვაო ჰოსპიტალი

2019 წლის კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

ბათუმი

2021

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება **გვერდი**

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6

განმარტებითი შენიშვნები..... 7-21

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018 (შესწორებული)
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	22 139	32 565
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		218 302	343 084
გადახდილი ავანსები		6 019	154 279
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		18 905	33 203
გაცემული მოკლევადიანი სესხები	8	16 043	-
		281 408	*563 131*
ძირითადი საშუალებები	4	591 350	3 868 824
საინვესტიციო ქონება		3 227 538	-
		3 818 888	*3 868 824*
სულ აქტივები		*4 100 296*	*4 431 954*
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები		531 910	645 471
საგადასახადო ვალდებულებები		114 388	82 796
მიღებული ავანსები		-	197 239
გადასახდელი ხელფასები		347 462	234 198
მიღებული მოკლევადიანი სესხები	8	80 108	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		27 288	82 122
		1 101 157	*1 241 825*
გრძელვადიანი სესხები		2 076 443	2 317 852
		2 076 443	*2 317 852*
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		216 024	216 024
საემისიო კაპიტალი		455 328	457 128
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		199 125	175 086
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		52 219	24 039
		922 696	*872 277*
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		*4 100 296*	*4 431 954*

დამტკიცებულია და ხელმოწერილია 03.07.2021

გურამ საფარიძე
დირექტორი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018 (შესწორებული)
შემოსავლები			
ამონაგები	6	1 858 641	1 910 182
		1 858 641	***1 910 182***
ხარჯები			
მედიკამენტის ხარჯი		(26 100)	(80 648)
ადმინისტრაციის ხელფასი		(892 070)	(933 713)
ცვეთა და ამორტიზაცია		(182 700)	(206 762)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	7	(262 907)	(302 757)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		***494 864***	***386 302***
საპროცენტო ხარჯი		(174 531)	(170 093)
აქტივების გაუფასურება		(83 620)	(94 781)
სავალუტო საკურსო სხვაობა, ნეტო		(169 575)	(76 399)
სხვა არასაოპერციო ხარჯი		(14 919)	(20 990)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		***52 219***	***24 039***
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		***52 219***	***24 039***

გურამ საფარიძე
დირექტორი

საქართველო, აჭარის ა.რ. ქ.
საზღვაო ჰოსპიტალი
MARITIME HOSPITAL
245442695
GEORGIA, A. R. OF AJARA, JSC

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

GEL

	31.12.2019	31.12.2018 (შესწორებული)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	1 949 683	2 510 975
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)	(473 344)	(934 150)
თანამშრომელთა ანაზღაურება (-)	(649 884)	(834 891)
გადასახადები (-)	(213 148)	(318 065)
სხვა საოპერაციო ხარჯები (-)	(35 852)	(20 143)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	*577 454*	*403 726*
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(5 689)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	*(5 689)*	*-*
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
აქციების გამოსყიდვა (-)	(1 800)	(4 000)
გადახდილი სესხები (-)	(406 099)	(322 346)
გადახდილი პროცენტები (-)	(174 551)	(170 093)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	*(582 450)*	*(496 439)*
საკურსო სხვაობის ეფექტი		
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	258	(3 946)
	(10 426)	*(96 659)*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	*32 565*	*129 224*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	*22 139*	*32 565*

გურამ საფარიძე
დირექტორი

საქართველოს აჭარის ა.რ. სს. საზღვაო ჰოსპიტალი MARITIME HOSPITAL 245442695 GEORGIA, A. R. OF AJARA, JSC

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

GEL

	საკუთარი კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	216 024	461 128	175 086	852 238
აქციების გამოსყიდვა		(4 000)		
განაწილებული დივიდენდი	-	-	24 039	24 039
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	-	-
მოგების გადასახადი				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	216 024	457 128	199 125	872 277
აქციების გამოსყიდვა		(1 800)	-	(1 800)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)			52 219	52 219
მოგების გადასახადი				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	216 024	455 328	251 344	922 696

გურამ საფარიძე
დირექტორი

საქართველოს აჭარის ა.რ. საზღვაო ჰოსპიტალი
MARITIME HOSPITAL
245442695
GEORGIA, A. R. OF AJARA, JSC

1. ზოგადი ინფორმაცია

სს "საზღვაო ჰოსპიტალი" (შემდგომში "საწარმო") დაფუძნდა 2004 წლის 22 აპრილს.. მისი სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 245442695.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №102ბ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებები.

საწარმო ხელმძღვანელია გურამ საფარიძე.

პირები, რომლებიც აქციონერთა საერთო კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმათა 5%-ს ან მეტს:

	31.12.2019	31.12.2018
გრიგოლ ჭყონია	26,669%	26,669%
ნოდარ ყულეჯიშვილი	14,693%	14,693%
გიორგი კუნჭულია	9,636%	9,636%
რაული გორგოშაძე	9,590%	9,590%
გრიგოლ ჩახვაძე	5,457%	5,457%
ლიანა თოთლაძე	5,417%	5,417%
მინორული აქციონერები	28,539%	28,539%
	100,000%	**100,000%**

საწარმო ჰყავს ორი შვილობილი საწარმო

1. შპს სენტინელი (245575916), რომელშიც ფლობს 100% წილს, და
2. შპს ემ ეიჩ გრუპი (445447080), რომელშიც ფლობს 100% წილს

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს

გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)".

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31.12.2019	31.12.2018
USD	2,8677	2,6766
EUR	3,2095	3,0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. გამოყენებული ამორტიზაციის ნორმებია:

შენობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	2-5 წელი

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).
თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.
სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.
საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხომბს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში" ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების" მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამიზნულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი" არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის

მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილას მდებარე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს, რომლებიც დაკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების უახლესი პერიოდის ფასებს რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით; და

გ) დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეყრდნობა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებებს და დასაბუთებულია არსებული საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების პირობებით და (როდესაც შესაძლებელია) გარე მტკიცებულებებით, როგორიცაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის ანალოგიური ქონების მიმდინარე საბაზრო საიჯარო ქირები და დისკონტირებულია ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების სიდიდესა და მათი წარმოქმნის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში ამონაგების შემადგენლობაში. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში და წარდგენილია განცალკევებით.

საინვესტიციო ქონების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი გამოითვლება შემოსულობიდან საბალანსო ღირებულების გამოკლებით. როდესაც კომპანია ქონებას ასხვისებს რეალური ღირებულებით, „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში, ქონების საბალანსო ღირებულება, რომელიც მას ჰქონდა უშუალოდ გაყიდვის წინ, დაკორექტირდება გარიგების ფასამდე და კორექტირების თანხა აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში, საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებამდე კორექტირების შედეგად წარმოქმნილი ნეტო შემოსულობის შემადგენლობაში.

თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, იგი რეკლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული მისი საბალანსო ღირებულება გახდება ამ ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში კაპიტალიზდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ დანახარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის სარემონტო და ტექმომსახურებასთან, გაწევისთანავე აისახება, როგორც ხარჯი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან [illegible] ეკონომიკურ [illegible] ერთ [illegible]

(vii) ეს საბაზისო, ან ისევე ჯგუფსა ეყრდნობა სხვა საბაზისო, ოღონდ საფილიალო ან ასოც, ასგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

<u>**დაბეგვრა**</u>

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოიყვანილია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

[illegible]

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

4. ძირითადი საშუალებები

GEL

	მიწა	შენობები და ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	საატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	48 200	3 267 619	1 110 474	215 722	24 050	4 666 065
შეძენა	-	131 308	-	4 182	-	135 490
რეალიზებული	-	-	(2 657)	-	-	(2 657)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**48 200**	**3 398 928**	**1 107 817**	**219 904**	**24 050**	**4 798 899**
ცვეთა						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	-	(43 950)	(610 741)	(132 198)	(10 422)	(797 310)
პერიოდის ცვეთა	-	(18 012)	(134 065)	(25 813)	(4 810)	(182 700)
ჩამოწერილი ძ/ს ცვეთა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(61 962)	(744 806)	(158 011)	(15 232)	(980 011)
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისათვის	**48 200**	**3 223 670**	**499 733**	**83 524**	**13 628**	**3 868 755**
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**48 200**	**3 336 966**	**363 011**	**61 893**	**8 818**	**3 818 888**

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ფული საბანკო ანგარიშებზე	7 971	1 850
ფული სალაროში	14 168	30 715
	22 139	*32 565*

6. ამონაგები

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	1 592 797	1 592 503
შემოსავალი იჯარიდან	261 356	266 800
სხვა შემოსავალი	4 488	50 879
	1 858 641	*1 961 061*

7. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	(156 707)	(177 617)
კომუნალური ხარჯები	(20 646)	(62 882)
სამეურნეო ხარჯები	(471)	(15 531)
საიჯარო ქირა	-	(7 592)
კომუნიკაციის ხარჯი	(11 939)	-
ჯარიმები	(27 468)	-
საოფისე ხარჯი	(12 103)	(2 853)
მარკეტინგული ხარჯი	(13 310)	(11 604)
სხვა ხარჯი	(20 262)	(24 678)
	(262 907)	*(302 757)*

8. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან და ნაშთები

	განაკვეთი	31.12.2019	31.12.2018
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	0%	16 043	-
დაკავშირებულ მხარიდან მიღებული სესხი	0%	80 108	-
		96 151	*0*

	31.12.2019	31.12.2018
საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა	311 441	-
ნაშთი	-	-
საქონლის/მომსახურების შესყიდვა	36 000	-
ნაშთი	13 164	3 000

	31.12.2019	31.12.2018
დაკავშირებული მხარეების ანაზღაურება	76951	140814
	76 951	*140 814*

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19.

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, თუმცა სამედიცინო მომსახურებებს ეს შეზღუდვები არ ეხებათ. გარდა ამისა, საწარმომ მოირგო ე.წ. კოვიდ-კლინიკის როლი და მეტნაკლებად დააბალანსა ეკონომიკის შემიცრებით გამოწვეული პოტენციური ზიანი.

გამომდინარე აქედან, სს "საზღვაო ჰოსპიტალის" ხელმძღვანელობამ ანგარიშგებაში არსებული დაშვებებისა და განუსაზღვრელობების გადახედვით მიზნით გაითვალისწინა როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ასევე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პროგნოზები და საწარმოს ხელმძღვანელობას არ მიაჩნია საჭიროდ საეჭვო ვალების ანარიცხების შექმნა (გარდა შექმნილისა), ასევე ეჭვქვეშ არ აყენებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას.